საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე, ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და ტაშკენტის ქუჩების გადაკვეთასთან, საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგები.

შ.პ.ს. "ზიმო"-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2007 წლის ივნისში შემოწმდა ზემოთაღნიშნულ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა საპროექტო ორგანიზაცია ს.ს. "საქქალაქმშენპროექტი"-ს საინჟინრო გეოლოგიურმა განყოფილებამ 2006 წლის ივნისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი ზ. კვაჭანტირაძე. გრუნტების ლაბორატორიული გამოცდა ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად და აგრეთვე წყლის ქიმიური ანალიზი ჩატარდა საპროექტოს ლაბორატორიაში.

კვლევის მიზანი:

1. უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა.
2. შენობების დაფუძნების პირობებზე რეკომენდაციების დასახვა.

აღნიშნული მიზნების შესრულებისთვის უბანზე გაბურღული იქნა 14 ჭაბურღილი, აქედან 7 ჭაბურღილი სიღრმით 21-24.0მ, ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის დაფიქსიერებით. შვიდი ჭაბურღილის სიღრმეები შეადგენდა თითოეულის 15.0მ. ამრიგად ჭაბურღილების საერთო სიგრძე შეადგენს 259.5მ-ს.

ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრისათვის.

ამრიგად საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე 7გვ.
2. ტექნიკური დავალება 1გვ.
3. მიწერილობა 1გვ.
4. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების ცხრილი 1გვ.
5. წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები 4 გვ.
6. გრუნტის სიმკვრივისა და სიმტკიცის მაჩვენებლების სტატისტიკური დამუშავების შედეგები. დანართი 1 და 2 - 8 გვ.
7. უბნის ტოპოგეგმა 1 ფურცელი
8. სამთოგამონამუშევრების გეოლოგიური სვეტები 6 ფურცელი.
9. საკვლევი უბნის გეოლოგიური ჭრილები 10 ფურცელი.

ტექნიკური დავალების თანახმად პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 8-10 სართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც შედგება ძირითადად ორი დამოუკიდებელი შენობისაგან. ძირითადი შენობა სამ ბლოკიანია ზომებით 20X127.0მ. ხოლო მეორე შენობა ერთბლოკიანია ზომით 15X45მ. შენობები კონსტრუქციულად წარმოადგენენ რკინაბეტონის ჩონჩხედს, რომლის კედლების შევსება მოხდება აგურის ან ბეტონის ბლოკებით. განზრახულია მიწისქვეშა სართულების მოწყობა.
გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია მდებარეობს საბურთალოს დეპრესიის სამხრეთ აღმოსავლეთ პერიფერიულ ნაწილში და ხასიათდება სწორი რელიეფით სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით უმნიშვნელო დახრით.
ჩატარებული სამუშაოების შედეგად ავტორის მიერ უბანზე გამოყოფილი იქნა გეოლოგიურ ჭრილში გრუნტის შემდეგი ფენები.
1. ფენა-1 ნაყარი ( )
2. ფენა-2 თიხნარი ( )
3. ფენა-3 ძლიერ გამოფიტული არგელიტები და ქვიშაქვები ( )
4. ფენა-4 ძლიერ გამოფიტული არგელიტები და ქვიშაქვები.

ანგარიშში მოცემულია თითოეული ფენის დახასიათება. განსაკუთრებით დეტალურად არის შესწავლილი თიხნარები, რომელთაც ჭრილში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავთ, მათი სიმტკიცის მაჩვენებლები დამუშავებულია სტატისტიკური მეთოდით.
რაც შეეხება ძირითად ქანებს, მათი თვისებების დახასიათებისათვის გამოყენებულია ფონდური მასალა, რომელიც საკმაოდ მოეპოვება მათ განყოფილებას ახლომახლო ტერიტორიაზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად.
გრუნტის წყალი დაფიქსირებული იქნა ზედაპირიდან 1.8-3.0მ.ზე წყალი აგრესიულია ბეტონის მიმართ და როგორც ავტორი აღნიშნავს გამოყენებული უნდა იქნას სულფატომედეგი ცემენტები შენობის მიწისქვეშა ნაწილში.

დასკვნა.

სამუშაო შესრულებულია პროფესიულ დონეზე ავტორის დასკვნებს ვეთანხმებით.
ამრიგად წარმოდგენილ ანგარიშს რეკომენდაციას ვაძლევ დაედოს საფუძვლად პროექტს.

საქ. ტექნ.უნივერსიტეტის გრუნტების,
მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების კათედრის გამგე
ტექნ.მეცნ.დოქტორი
პროფესორი: ზ. ჭრხონელიძე